საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №825
2022 წლის 3 მაისი

ქ. თბილისი

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №18 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 31.01.2012წ., სარეგისტრაციო კოდი: 040030000.22.027.016240) დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ წესით გათვალისწინებული დოკუმენტები, გარდა ფოტოსურათისა, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოებს უნდა წარედგინოს მატერიალური ფორმით. დოკუმენტების წარდგენა სავალდებულო არ არის, თუ მონაცემთა ელექტრონული ბაზა შეიცავს შესაბამის დოკუმენტში მითითებულ მონაცემებს ან აღნიშნული მონაცემების მიღება სააგენტოს შეუძლია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 3 მაისიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **რატი ბრეგაძე**